№ 225 ოქტომბერი 24, ხუთშაბათი 1891 ოქტომბერი 24, ხუთშაბათი № 225

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ

თოვ	მან.	კ.	თოვ	მან.	კ.
12	. . . 10	—	6	. . . 6	—
11	. . . 9	50	5	. . . 5	50
10	. . . 8	75	4	. . . 4	75
9	. . . 8	—	3	. . . 3	50
8	. . . 7	25	2	. . . 2	75
7	. . . 6	50	1	. . . 1	50

ᲪᲐᲚᲙᲔᲖᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ—ᲤᲧᲠᲘᲡ ᲨᲐᲠᲘ

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიემართონ: თვითონ რედაქციას, ჯუკარში, ჯეზმალის ქუჩაზედ; ბარანოვების ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინის ოსტიუღლ სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სთავად-აზნაურთა ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: უსულერივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ 1877—1891

ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲠᲐ ᲬᲔᲠᲘᲐ.

სინამდვილით სთარგმნილ

და შესაფერს ისტორიულს განმარტებას ურთავს თავად-აზნაურობის დირსების ს

ᲘᲨᲕᲘᲗᲘᲐ ამბავი არ არის. დღე ისე არ გავა, რომ ქუჩდოლისა, ავაზაკობისა და ცუდ-კაცობისა არა გავიგონოთ-რა. ზოგს კამეჩებს, და უფრო ცხენებს, ხარებს, ძროხებს და, წარმოიდგინეთ, თითქმის ქათამ-ინდაურებსაც-კი ჰპარავენ. ზოგს სახლს უტეხენ და ფული, თუ სხვა ნივთი, რაც-კი რამ მოხვდებათ ხელში, ისე გაალეკთ, თითქოს აქ არაფერიაო. ყოველსავე ამას ისე ახერხებენ, რომ ეგრევინ ტყობილობს დამნაშავეთა ეინაობას. ამიტომ ეს ვაკბატონები ისე გათამამდნენ ამ სამარცხვინო ხელობაში, რომ არც ადარაფერი ეშინაათ და არც ადარავის ერიდებიან‘ნ ლამის მთელი ჩვენი მიდამო აიკლონ. იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ჩვენს ასეთს შეუწეხვას უფრო გულ-დასმით და ბეჯითად მოჰკიდებს ხელს, იქნება ცოტათი მაინც შეაკვეცოს ფრთები, იმ ბოროტ-მომქმედებს, რომლებიც დღეს ჩვენში უშიშრად დანავარდობენ.

*** სოფ. მარტვილი (სენაკის მაზრა) როგორც ამ რამდენისამე ხნის წინად „იეერიაშიაც“ იყო მოხსენებული, ადგილობრივი ბოქაული ძალიან სცდილობს, როგორმე შეამციროს ბოროტ-მოქმედება ჩვენში. მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც აღარა ეშველა-რა. ფარსულთის თვის უკანასკნელს რიცხვებში, ერთს აქაურს მეხოვრებს, როდესაც იგი ეახშმის საჭმელად მეორე სახლში შეიდა, ქურდები შეეხარნენ და ერთი ყუთი, რომელშიაც 200 მანეთი იყო და სხვა-და-სხვა ნივთეულობა 788 მანეთისა, სულ 988 მ. ერთთან წაიღეს. დღესაც არ იციან, ვინ იყვნენ ის ვაკბატონები.

*** სოფ. თაქლათა. (სენაკის მაზრა): სოფ. თაქლათის საზოგადოებაში ქურდების საწინააღმდეგოდ ხეკის თავებია მთავრობის მიერ დანიშნული, მაგრამ არ იქნა და არა, ქურდობაკაცობა მაინც არ მოისპო ჩვენში. ამ თვეე ნახევარში ექვსი ცხენი მოიპარეს. პატრონები დიდის გულ-მოდგინებით შეუდგნენ დანაკარგის აღმოჩენას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა აღმოუჩენიათ-რა.

*** ოქაფალუ: ეს-ეს არის გავათავეთ ყოველივე მუშაობა მინდვრად. სიმინდი ბლომად მოგვივიდა. წლეულანდისთანა უხვე, განსაკუთრებით სიმინდის მოსავალს, დიდი ხანია, რაც არ მოგსწრებივარო. ბევრი წარსულის წლების ცალიერი სასიმინდეები სათოლამდე იქნა გატენილი, და ბევრს თითქმის ახალიც მოადგმნინა. არც ღომმა გვიდალატა; ისიც თითქმის სიმინდზე გადაჰპრბენი მოგვივიდა. ღვინოს ხომ თქმა არ უნდა, განსაკუთრებით „იზაბელასა“...

*** სოფ. ᲙᲚᲘ (სენაკის მაზრა). ამ თვის შუა რიცხვებში ჩვენს სოფელში მოხდა შემდეგი საშეუხარო ამბავი. ერთს აქაურს მეხოვრებელს, თავის მეზობლის ცხენი შესჩვეოდა ეზოში. იმს პატრონისთვის უთქვამს, თუ ჩემი მეზობლობა გინნდა, შენი ცხენი მომაშორე, რომელმაც დიდი ზარალი მომცაო. გავიდა მას შემდეგ ერთი კვირა. ცხენი ისევ შეეოდა. გაგულისებულმა კაცმა აიღო თოფი ხელში და უნდოდა ცხენი მოეკლა. ამ დროს ამ კაცს შეხედა თავის დისწული ახალ-გაზდა ყმაწვილი, რომელმაც თოფი აღარ დანებება, როგორ თუ შენის მეზობლის ცხენს უნდა ესროლოვო. უკაბედად ერთბაშად დაიგრიალა თოფმა და ყმაწვილს მოხვდა, რომელმაც იმ წამსვე განუტეცა სული.

*** ბათუმი. ამ დღეებში, 27 ამ თვეის, კვირას ბათუმში ბ-ნი ესებეა კიდევ ახალს ქიდამბასა ჰმართავს. ქიდამბის შემოსავლის ნახევარი უნდა შესწიროს ესებეშვ ქარაფელს სტუდენტებს. ამ ქიდამბაში მონაწილეობას იღებენ კიდევ მიხა გლდანელი და მიხა ღონდაძე.

*** ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის მაზრის უფროსის კანცელარიაში დაბარებულნი იყვნენ: მოხუცებული დედაკაცი ხანუმ-სიფორეური, ამისი 14 წლის ლამაზი ქალი საკანა და ბორჩალოს მაზრის სოფელ სარკანის მეხოვრებელი ყურბან-ნოერუზ-ოღლი. პოლიციის ოფიცრმა და თვითონ საკანას ჩვენებიდან აღმოჩნდა, რომ შარშან ზაფხულს საკანა და იმის დედა სოფელ ლისას სცხოვრობდნენ თუმბე თავისს ძმებთან; ერთი ამთანგანი სარაჯიშვილის მამულის მოურავად იყო ამ სოფელში. იმ დროს იმავე სოფელში საკონას ძმებთან ჰმუშაობდა თურმე ყურბან-ნოერუზ-ოღლიც. ყურბან ოღლის აქედგან საკონა მოუტაცნია, ჩამოუყვანია ტფილისს და ისევ თავე სარდაფში ჰყოლია დამწყვდეული. ყურბანი ამბობდა, საკონას ცოლად შეეთხოვო. საკონას დედა-კი ამტკიცებდა, ყურბანს ძალათი-კი არ მოუტაცნია ჩემი ქალი, შარიათის წესით ჯვარ-დაწერილები არიან. საკონა ტიროდა და ამბობდა, თუ ამ კაცის ხელიდგან არ გამამთავისუფლეთ, თავს მოვიკლავო. პოლიციამ სუყველანი ტფილისის გუბერნის მაჰმადიანთა „მეჯლისში“ გაგზავნა განსასამართლებლად (გაზ.. „Нов. Обоз.“)

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲕᲠᲚᲝᲒᲝᲜᲘ

მინდა რამ ვთქვა,
შენი სახელი მოდის.
ამ ჩემ გულში
რა ამბები, რა მოდის!

გრ. ორბელიანი.

მინდა რამ ვთქვა, მაგრამ სათქმელსაც თქმა უნდა და შემიძლია ვთქვა თუ ვერა?

ყველანი მწერლობას დიდს მნიშვნელობას ვაძლევეთ; საკუთრად ჟამთა ვითარების გამო ჩვენს ცხოვრებაში მწერლობას ერთი დიდი ადგილი უჭირავსო, უთქვამთ მრავალჯერ და მისს მდგომარეობაზე-კი ისე ნაულებადა ვზრუნავთ, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო.

მართალი განა ასეა, მართლა არაკინა ზრუნავს მწერალთაგანი?

— ტყეილია; ზრუნავს და ფიქრობს ბევრიო, ამბობენ, მაგრამ ეს ზრუნვა და ფიქრის რაღაცა შემთხვევისა გამო კალმით, თუ სიტყვით, ვერაფერს გამოუთქვამსო.

ყურს ვუგდებ ლაპარაკსა, მითქმა-მოთქმასა გაზეთის მკითხველისასაც, მწერლისასაც, ტფილისშიაც და გარეთაც, და ყველგან ერთი საკითხველი აზრი მესმის: რას შერჩენიან, მწერლები, რას გაჩუმებულან? სიტყვა გვესმის, აზრი-კი არა. რატომ არ გვიფუძველებენ ფიქრებს, რატომ აზრი არაფერს არ გაგვიზიარებენ? რას ფიქრობენ; ხომ კითხვა გადაგვაჩვევენ და თითონაც წერას და მსჯელობას გადაჩვევენ.

ამის გამგონეს ფიქრი ფიქრზე მაწვება, მაჯლაჯუნასავით სულს მიხუთავს და მეც მკითხველთან საკითხველის ფიქრებით ველაპარაკები მწერლებსა:

— რას ფიქრობთ და რას გაჩუმებულხართ?

პასუხის ნაცვლად საერთო სიჩუმე მესმის და მასთან მძიმე მოწყენილობას ვხედავ. რას ნიშნავს ეს სიჩუმე? განა აზრი აღარა ტრიალებს ჩვენს თავში, განა სიტყვამ დაჭკარგა თავისი ძალა, განა შეუძლებელი [illegible] ეაბდეს ხმის ამოღება?

— არაო, მეუბნ[illegible]ან.

ძალიან კარგი, ვთქვათ, ეს ყველაფერი არის. მითხარით ზრუნვაც არის მწერლობის მდგომარეობაზე, მისს განმტკიცებაზე, მის სიმკვიდრეზე, თუ არა? ამას ვეთხოვლობ და პასუხი-კი არ მოისმის არსიდამ.

იმ დასკვნაზე მოვდივარ, რომ არ არის ნამდვილი ზრუნვა, ამიტომ რომ არსად არ იჩენს თავსა. გაზეთში, ვთქვათ, ვერ ახერხებს ვინმე ან არა სურს იქ მწერლობის შესახებ ლაპარაკი; ეს სტამბა ხომ აქ არის და ეს ქალალდი. რატომ არაკინ ხმას არ იღებს მისს აწერ-დღეს მდგომარეობაზე, მისს ბედ-უბედობაზე, მისს მომავალზე?

რა მოელის ამ სიჩუმით მწერლობას, რა მოელის მკითხველს, თვით მწერალს?

ნუ თუ ამაზედაც არაფრის თქმა არ შეიძლება, არაფერი საზრუნველი არ არის, არაფერი საფრთხე არ უდგეს წინაზ?

ეს ახალი ხანაა ჩვენს მწერლობაში, ახალი დრო უდგება და არ ვიცით-კი, რა უნდა ვიფიქროთ ამ ახალს მომავალს დროზე?.. მაგრამ რა დროზე, რა ხანაზედ?

იქნება ამ ახლის თავი და ბოლო პირიონობის გარს ტრიალებდეს და არა მართალი დრო-ჟამთა წარმატებაზე, გარემოებათა ცვლილებაზე, ისტორიულს მოთხოვნილებაზე?

მე ამ აზრებში ვიბნევი, ვერ გამოვკვეულვარ და მხოლოდ ერთი რამ მახსოვს:

დეე შეიცვალნონ კაცები, მწერალი, მოთავეები, ეს ყოველთვის წარმავალია; ოღონდ-კი ნუ შესწყდება დაწყებული მუშაობა, ოღონდ ნუ ენახვი ცალიერობას ერთის თანმიდიდან მეორე თანმამდის, ოღონდ ნუ მოვესწრებით იმ დროს, რომ მეთაველი, ვაივაგლახით გამოზრდილი შემოჰფანტოდეს მწერლობასა და მწერალი გადაჩვეულიყოს მოაზრებას და წერასა.

თუ მუშაობა აზრისა და წერისა შეჩერდა, ეს ხომ ჩვენის ცხოვრების წარმატების შეჩერებაა, უკან დაჩრენაა, დაცემაა. როდესაც ჩვენ გარს ყველაფერი და ყველანი წინ იწევენ, და ჩვენ შევდგებით, რა ღონეზე, მოვეწევით, თუ ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა გაჩერებული იქნება?

ყოველ[illegible] დღეს თვისი სამუშაო აქვს, რაც უნდა მდორე, ნელი მდინარება ჰქონდეს ცხოვრებასა. ყოველი სიჩუმე დღევანდელის დღისა დიდი დანაკარგია ხვალინდელის დღისათვის. დღეს წელიწადები მისდევს ერისთვისა, 1738 წელს, როდესაც ხანმა განაძო შანშე, ის წავიდა დედა-წულოსურთი იმერეთს, და შემდეგ რუსეთს. მოსკოვში რუსეთის ?.არიგებლობამ ან შეიწყალა შანშე, 1739 წ. შანშე დაბრუნდა რუსეთიდგან, მოიყვანა ლეკის ჯარი, აიღო ანანური, მოჰკლა ბარძიმ ერისთავი და სრულიად ამოსწყვიტა [illegible] სახლობა. ამავე წელს შანშემ მიაშველა ალექსანდრე მეფეს 500 კაცი ლეკის ჯარისა, რომლითაც ალექსანდრემ ალახორა ოდიში. 1741 წელს შანშე შეიპყრეს ოსმალებმა, და მისცეს ფაშნადირს, რომელმაც შანშე წარგზავნა ხორასანს. შანშე გამოიპარა გზიდგან, მაგრამ შეიპყრეს და თვალები ოდმოხადეს. დაუდგა არი ცხოვრება შანშეს. დასრულდა 1753 წელს (იხ. ქრ. ცხ. ტ. II, გვ. 255—256, 81, 89, 92, 93 და Hist. de la Géor. t. II, liv. 1, p. 631). იქნება ამ შანშეს ქალი იყო ალექსანდრეს სასახლეში, მაგრამ ჩვენს წყაროებში არც ის იხსენიება, ჰკვადა თუ არა შანშეს ასული. ფრაზა—„მერმე მოხდა საქმე და ის ერისთვის ქალი მიცრო შეიქნა“—უნდა უჩვენებდეს, რომ იმ ქალის მამას ერისთაობა დაუკარგავს.

ის გარემოება, რომ მეფე ალექსანდრე პირობას უდებს თავისს ქვეშევრდომს, ქსნის ერისთვის ქალი ცხენის-წყალს გაღმა არ გავაუხოროო, საკმაოდ გვიხატავს მეფის სისუსტეს იმ დროისას და ფეოდალების სიძლიერეს. ჩიჩუა, ეტყობა, ძლიერ გამოჩენილი და შეძლებული ვკარი ყოფილა, თუმცა შავის ზღვის პატრონი იყო და დადიანის ტახტს და საპატრონოს განაგებდა.

[illegible] თაყაიშვილი

ქალი ცხენის-წყალს გაღმა (არაგვის) არ მივსცეთ, და კიდეც შენი კარგის მდომი ვიყოთ, და სადაც ჩვენი ან ძალა გვეიღეს, ან ნება, არცა ვისიძოთ[1]), და საზაბუროდ დასაჩაგრავთ დაგებვნთ, კიდეც გულის წმინდით კის მდომი მოყვარე შეეიქნეთ. აწ ამის გასათვალვად თავსდებთ მოგვიკემია თავად დამბადებელი ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანნი ზეკისანი და ქვეყნისანი[2])... კაცთაგან ამისი მოწმე ნიკოაძე [illegible]ცია და ნაკაშიძე იოვანე“.

ხელ-ჩართულად ხელს [illegible]წერს: „მეფე ალექსანდრე“.

[1]) დედაში სწერია: „ვისისათა“?
ე. თ.

[2]) აქ ჩვეულებრივი წყველა არ მოგვყავს.
ე. თ.

აქ მოხსენებული ალექსანდრე არის იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720 † 1752), გიორგი VI შვილი. აქამდე ცნობილია ორი და ალექსანდრეს[illegible] (თუმცა არც ერთის სახელ[illegible] [illegible] [illegible] [

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ორაკელ ქალაქის თავის კანდიდატად ყოფნას ბ-ნ ზუბალოვისას, არ შემეძლო არ მესარგებლა იმის თავაზიანის რჩევით, რომ საჭიროა, შთაგონება-დარიგებისათვის ფეთოლეის კანტორას მიმართოო. მართლაც ამ კანტორაში დამხვდნენ ისეთი კაცები, რომელთაც „შთამბეჭდნეს“, რომ აწინდელი საბჭო „სულ არა ჰგავს“ 1879 წ. საბჭოსაო, ხოლო ამასთანავე ისიც განმიმარტეს, რომ ამ ორივე ერთმანეთის არა მსგავსსა საბჭოს ერთ გვარად დაფიქსა ბ-ნი ზუბალოვი, როცა ქალაქის თავის კანდიდატად იყოო.

დამრჩა საპასუხოდ მე-3 პუნქტი ბ-ნ ზუბალოვის წერილისა. თავისის აღლითად ჰზმობს ბ-ნი ზუბალოვი და ასე ჰგონია, ვითომ ქალაქის თავის თანამდებობა ჩემთვისაც სათენებო საგანი იყოს. ვარწმუნებ ბ-ნს ზუბალოვს, რომ სიტყვას „ოცნებას“ ამ შემთხვევაში სულ არა აქვს ადგილი და ვერც დაახასითებს ჩემს სურვილსა და ოცნებათა. რასაკვირველია, მეც ვოცნებობ ხოლმე (და ან ვინ არა ოცნებობს!), მაგრამ თვითმმართველობის მაგვარს დაწესებულებებთან საერთო-კი არა აქვს-რა ჩემს ოცნებას, და თუ ბ-ნი ზუბალოვი შესამდეგ მოინდომებს და კენჭს იყრის ქალაქის თავის თანამდებობაზედ, ვარწმუნებთ, კენჭს სულაც არ ვიყრი და ამითი გზას არ გადავეღობავ.

კიდევ ერთი მცირე შენ�. ბ-ნი ზუბალოვი, სკ[illegible]ლობს რა ჩემს დახასიათებას, ვითარცა ხმოსნისას, ამბობს, რომ ვითომ „მხოლოდ ზოგიერთა გასართობად“ ელაპარაკობდე. ამ საყვედურის პასუხად მხოლოდ იმის ღმა შემიძლიან: Iupiter, tu te faches, donc tu as tort.

რუსეთი

რუსეთის ჟურნალ-გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ფინანსთა სამინისტროს პროექტი შეუდგენია იმის შესახებ, რომ ახალი სახელმწიფო გარღასახადი დაიწესოს რუსეთში და ხარჯი გამოართვას ყველა სამსახურის კაცს, ვისაც-კი წელიწადში 2,000 მანათზე მეტი ჯამაგირი ეძლევაო. ძნელია, ეხლა-ვე სთქვას კაცმა, თანაგრძნობით დაუტვდება საზოგადოება ამ ახალ გარღასახადის შემოღებას თუ არა, თუმცა ამ ეამად-კი აშკარად ვხედავთ, რომ მრავალი სამსახურის კაცი თავისის ნებით და ძალ-დაუტანებლად იხდის თავის ჯამაგირიდგან რამდენსმე %/o რუსეთის დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ.

დამტკიცდება, თუ არა, ეს პროექტი და ან როგორ დაუხდება საზოგადოება ამ ახალს გარღასახადს, ამ შემდეგი დავკანხვებს. ეხლა-კი მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ 1871 წელს მთავრობას აზრად ჰქონდა, სულ ერთიანად შეეკვეცა სახელმწიფო ხარჯთა აკრეთ-გაზეთის წესწყობილება, რათა უფრო სამართლიანად გაენაწილებინა ხარჯი რუსეთის სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომთა შორის. ამ საქმის განხილვა მთავრობამ რუსეთის საერთო კრებებს მიანდო და თანაც აუწყა, რომ ეს საქმე გამოეკვლიათ და თავის აზრი ამ საგნის შესახებ წარეედგინათ მთავრობისათვის.

ერთმამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ამ საქმეს. ბევრნი საერთო საბჭომ მთელი სამეცნიერო ტრაქტატი წარუდგინა მთავრობას სახელმწიფო ხარჯთა გაწერის წესწყობილების შეცვლის შესახებ.

ამ ტრაქტატებში ფრიად ძვირფასი და საყურადღებო ცნობები იყო მოყვანილი შესახებ რუსეთის სხვა-დასხვა გუბერნიების ეკონომიური მდგომარეობისა და ხალხის საჭიროებისა. ძლიერ საყურადღებო და საგულისხმიერთა, რომ რუსეთის ერობამ გადასწყვიტა: „სახელმწიფო ხარჯი ყველა ქვეშმრდომს უნდა გადახდეს, მიუხედავად იმის სამსახურისა და წოდებისა“-ო. მაგალითად ვოლოგდის ერობა ასე სწერდა:

„თუ სამხედრო ბეგარას ყველა წოდების კაცი იხდის, რადგანაც ყველა წოდების კაცია მოავლე მტერთან ბრძოლით სამსახური გაუწოოს თავისს სამშობლოს, ამიტომ ყველა წოდებისაგე კაცი მოვალე უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს ხარჯიც აძლიოს“. ტამბოვის ერობა სწერდა: „ყველა კაცი მოვალეა, რომ ხარჯი აძლიოს სახელმწიფოს, რადგანაც იგი ზრუნავს იმის კეთილდღეობისთვის, და ვინც ხარჯს არ იხდის, ის მონაწილეობას არ იღებს სახელმწიფო ცხოვრებაშიო“. ნიჟეგოროლის ერობა ამბობდა, რომ „სახელმწიფო გარღასახადი ხმოლოდ მაშინ იქნება წესიერი და სამართლიანი, როცა ყველა წოდების კაცი გადიხდის ამ ხარჯსაო“.

საყურადღებოა, რომ საგუბერნიო გლეხთა საქმეთათვის დაარსებული დაწესებულებანიც, რომელთაც გასსაკუთრებით თავად-აზნაურობა განაგებს, ამასვე სწერდნენ მთავრობასთან წარდგენილს მოხსენებაში. მაგალითად, სიმბირსკის საგუბერნიო გლეხთა საქმეთათვის დაარსებული დაწესებულება სწერდა, რომ, „სახელმწიფო გარღასახადი ძლიერ მძიმე ტვირთია გლეხებისთვის, თითქმის მთელს ნამეშავარს აცლის ხელიდამ და ამის გამო ხალხი ძლიერ გაღარიბდა ჩვენს გუბერნიაშიო“. ნოვგოროროლის იმ გვარიე დაწესებულება სწერდა, რომ „გლეხ-კაცობა ისე გაიღარიბა სახელმწიფო გარღასახადებამა, რომ ძლიერ სასულვერია და აუცილებელი საჭიროებაც ხარჯთა აკრეფის ახალის წეს-წყობილების შემოღება და ყველა წოდების კაცზედ განაწილებაო“. ამ გვარიე აზრი განაცხადა რუსეთის ყველა საგუბერნიო გლეხთა საქმეთათვის დაარსებულმა დაწესებულებამაც. ეხლა მართალია, ვვიანლაა ამ საქმის მოგონება, რადგანაც ეს სასურველი პროექტი არ განხორციელდა, მაგრამ მაინც სასარგებლოდ მიგვანია ამ საქმისათვის თვალის გადაღება, განსაკუთრებით ამ დროს, როცა ერთის წლის მოუსავლობამ და უფრო-კი სხვა-და-სხვა მიზეზებმა ასე შესაძრნეველად დააქვითინა რუსეთის ეკონომიური კეთილდღეობა. („Недѣля“).

ᲓᲔᲜᲔᲗ.

22 ოქტომბერს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უოგეუსტოესის შვილებითურთ, მეფე და დედოფალი დანიისა, პრინცესსა ულესისა თავის ორის ასულის პრინცესებითურთ 19 ოქტომბერს, სალამოს 7 საათზე, მივიდნენ ვერტბოლოგოში და იმავე დღეს, სალამოს 8 საათზე, მგზავრობა განაგრძეს ყირიმისაკენ.

გამოაცხადეს უმაღლესი ბრძანება სენატისადმი: 1) კელვ აღკრძალულიდეე რჩება სახლვარ გარეე ზიდვა ქვეანისა, ქვეყის ფქვილისა და ყოველ გვარის ქატოსი და ამასთანავე აღიკრძალება სახლვარ გარეე წაღება სხვა ყოველ გვარ ხორპლეულობისაც, ჯერის გარდა, კარტოფილისა და მათის ფქვილისა, ალაოსი, კრუპასი, ცომისა და გამომცხვარის პურისა. 2) ეს აღკრძალვა შემოღებულ უნდა იქმნეს გამოცხადებენის მეორე დღესეე. ფინანსთა მინისტრმა დეპეშეთ უნდა აუწყოს ამ ბრძანების შინაარსი სათანადო ტამოჟნებს დაუყოვნებლივ აღასასრულებლად. 3) ამ აღკრძალვის ძალაში შესვლის შემდეგ ხმოლოდ სამის დღის განმავლობაში შეიძლება სახლვარ გარეე წაღება აღკრძალულ პურეულობისა: ა) თუ მთი გემებზე დადება ამ ბრძანების გამოცხადების წინად დაუწყიათ და ბ) თუ რაენის გზით უკვე გაგზავნილია ხმელეთით გასატანად. 4) ფინანსთა მინისტრს ნება ეძლევა ყოველგვარი მოსალოდნელი საქმე ამ ბრძანების აღასრულებისა თვითვე დაამოოوو

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

გამგეობა ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ უძრავი მამულები ქვემოდ დასახელებულ პირთან, მიდებულნი გრანოდ ბანკში, დაუნშულნი არიან, თანხმად წესდებისა 14 §, საჯაროდ გასასყიდად, რადგან ამ ბანკის წესდების ძალით სავალდებულო გარდასახადი არ არის შემოტანილი.

გასყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვედარ გადასახადს შემოიტანენ.

ქალაქის ეკ[illegible]ორიისა

ა) ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲚᲔᲑᲘ

მახვილაძე, ანნა ვასილის ასული: ორი თითო-სართულიანი ქვ[illegible]ის სახლი, მიწა ზომით 14½ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-3 ნაწ., 1 განყ., ვანქთან.

ოქუაშვილი, გრიგოლ იაკობის ძე: ორ-სართულიანი ქვიკირის სახლი, სარდაფიანის სართულთა, ეზოთი და მიწით, ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის, მე-5 ნაწ., 1 განყ. ოქრომქედლების ქუჩაზე.

სულხანოვი, მარიამ ივანეს ასული: ორ-სართულიანი დუქნები და ერთ-სართულიანი დუქნები ბალახვანთან და ოთახებით, მიწა ზომით 276 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-5 ნაწ., 1 განყ. თათრის მოედანზე, 7 და 8 ნაწილში, 2 განყ. ჩუღურეთში.

ბეთანოვი, სტეფანე იეანეს ძე: ორ-სართულიანი ქვიკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვიკირის სახლი ყოველ გვარის მოწყობილობით ზომა მიწისა სიგძით 28 საჟ. და სიგანე 13 საჟ. ქ. ახალციხეს.

ᲒᲐᲒᲠᲘᲔᲚᲘ, გიორგი მელქისედეკის ძე: ორ-სართულიანი ქვიკირის სახლი და ორ-სართულიანი ფლეველი მიწის ზომა 2100 ოთხ-კუთხი საჟ. სამახრო ქალაქ თელავში.

ტუხმინცოვი, აკოფ მიკირტუმის ძე: ორ-სართულიანი ქვიკირის სახლი საჯ�იზოოი, ბალით ყველა კუთვნილებით, მიწის ზომა 370 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენსაც აღმოჩნდება სამახრო ქ. ახალციხეში.

ნერასოვიანი, ელისაბედ ალექსანდრეს ასული: ორ-სართულიანი ქვიკირის სახლი, მიწა ზომით და ეზოთი 63 ოთხ-კუთხი საჟ. 1 ნაწ., 1 განყ. ქ. ტფილისს.

თამამშვილი, არტემ ალექსის ძე: ორი ორ-სართულიანი ქვიკირის სახლი, ორის ორ-სართულიანის ფლეველით, ზომა მიწისა, 231½ ოთხ-კუთხი საჟ. 1 ნაწ., 1 განყ. ქ. ტფილისს, ოლკასა და მოსკოვის ქუჩაზე.

თამამშვილი, ალექსანდრე სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვიკირის სახლი სამი წყაროთი, ყველა კუთვნილებეთი, ბალით და რიგის წყალით, მიწა ზომით 3 დეს. 350 ოთხ-კუთხი საჟ. მე-9 ნაწ. 2 განყ. ქ. ტფილისს, კრწანისში.

ᲒᲣᲨᲛᲘᲜᲘ, ლავრენტი კუზმას ძე: ერთ-სართულიანი ქვიკირის სახლი, სარდაფის სართულთა, მიწა ზომით 227½ ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწ., მე-2 განყ. ქ. ტფილისს აქალის ქუჩაზე.

ᲩᲝᲚᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნიკოლოოზ ზალის ძე და ჯანდიერი ლეონ გიორგის ძე: ორ-სართულიანი ქვიკირის სახლი ფლიგელით, მიწა ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავში.

ნიკოლაძე, ნიკოლოოზ იაკოფის ძე: ერთ-სართულიანი ქვიკირის სახლი ეზოთი. მიწა ზომით 235 ოთხ-კუთხი საჟ. მე-16 ნაწ. 2 განყ. ქ. ტფილისს, ნალოჟეზე.

ბ) ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲔᲑᲘ

ხიმშიევები, ნიკოლოოზ, ნინო, მარიამ გიორგის ძენი და ასულნი და ეკატერინა ბეგანის ასული: სახლავი, საძოვარი ადგილები და ტყე ზომით 653 დეს. 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. ანტონის-ხევში.

ᲩᲘᲭᲘᲜᲫᲘᲫᲘᲡ, სოფიო როსტომის ასული: სახლავი, საძოვარი, სათბი ადგილები და ტყე ზომით 291 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. დიდ-შავთაში.

ᲑᲐᲠᲐᲗᲝᲕᲘ, გიორ[illegible]ი ვახტანგის ძე: [illegible]ავი და საბოსტნე ადგ[illegible]ლები, ზომ[illegible]ით 177 დეს. 1560 ოთხ-კუ[illegible]ი საჟ. ტფილისის გუბერნიისა და მაზრ[illegible]ს ავარაკს ზემო-ოძისში.

ᲘᲠᲘᲗᲝᲕᲐ, გიორგი გიორგის ძე: სახლავი, საძოვარი ადგილები, ტყე და შენობები, ზომით 284 დეს. 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავ[illegible] მაზრაში, ავარაკს ქისტაურში.

ᲥᲐᲜᲜᲝᲕᲘ, გიორგი ხუციბის ძე: სახლავი, სასახლეკრე ადგილები შენობებით და ვენახით, ზომით 151 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელს ბრეთში.

თულავები, სოლომონ ივანეს ძე: სახნავი, სასახლეკარე სათიბი ადგილები და ტყე ზომით 297 დეს. 2003 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიისა და მაზრის სოფ. ზირბითის, ცივარეთს, გამოჩინებულს და აცუფის.

ხუდადოვი, ეკატერინე ფარსადანის ასული: სახნავი, საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 2371 დეს. 720 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, თრიალეთის სამოქალქოში, სოფ. ქვემო და შუა ყარაბულაღლ და ბალნალრაში.

ფალავანდიშვილი, ივანე ანტონის ძე: სახნავი და საძოვარი მიწები, ზომით 90 დესეტინა, ტფილისს, გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. პატარა-თამარაშენს, ოკანს და ხიღის-უბანში.

ქობულოვები, იოსები, სოლომონი და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესეტინა 876 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა და გორის მაზრაში, სოფ. ახალქალქს, მუხაურს და სათარხნოში.

თარხან-მოურავი, ნიკოლოოზ გრიგოლის ძე: სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 180 დესეტინა 1140 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფლებს ტბისსა და ბერთვისში.

ვაჩნაძე, იოსებ რევაზის ძე: სახნავი მიწები და ტყე, ზომით 663 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სალნალის მაზრაში, სოფ. ბარემკალს.

ვახვახიშვილისა, ეკატერინე გიორგის ასული: სახნავი მიწები და ტყე, ზომით 208 დესეტინა 555 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში.

შატბერიშვილსა, ლუდმილა ათანასეს ასული: სასახლეკარე ადგილი, შენობები და სახნავი მიწები, ზომით 18 დესეტინა 1600 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ხაშურში.

ბარნაბოვი, შიო ისაონის ძე: სახნავი მიწები ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში.

ზეინალოვები, ასკარი და ისმაილ ყასუძის ძენი. სახნავი, სათიბი, საბადე და სამოსტენე ადგილები და ტყე, ზომით 388 დესეტინა 250 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, შულაერის განყოფილებაში, ბორჩალოს მაზრისა, სოფ. ახლი-მაღმუთლუს.

გედევანიშვილი, მერაბ იოსების ძე: სახნავი, სიმოვარი და სათიბი ადგილები, ზომით 60 დესეტინა, 110 ოთხ-კუთხი საჟენი., ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფ. მუხათ-გვერდში.

მელიქიშვილი, მიხეილ ივანეს ძე: სახნავი, საძოვარი, სახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 840 დესეტინა, 2180 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. არაბათალსა, ფალინა-ტაქიანს, ხუკაბას, მელიქაშენს, თეფგურსა და სხვანი.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 1292 დესეტინა, 1600 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, უშენს ადგილს აბულმუჯში.

ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივანე კონსტანტინეს ძე: სახნავი ადგილი და ტყე, ზომით 660 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟენი თიონეთის მაზრის სოფ. ბატკის.

ორბელიანი, ივანე და გრიგოლ კონსტანტინეს ძენი: სახნავი, საძოვარი, სათიბი ადგილები, ტყე და ორი სახლი, ზომით 731 დესეტინა 1570 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფ. ყიზილ-ჟალოს (ივნევ ფფნარი და თამარ-ყულასობა) და საჯის.

ზოლტარაკეი, ალექსანდრე ივანეს ძე: სახნავი, საბალახე, სამოსტენე ადგილები, ბაღი და შენობები, ზომით 148 დესეტინა 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფ. ოქროყანას.

ზოლტარაკეი, ივანე ეგნატეს ძე: ერთ-სართულიან ქვითკირის სახლი, სარდაფით, სამზარეულოთი და სხვა შენობებით, ეზოთი და წყაროთი, ზომით ერთ დესეტინამდე ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფ. ოქროყანას.

მელიქ-მეგრობოვი, სოლომონ ავაქის ძე: სახნავი, სასახლეკარე ადგილები, ტყე, და მინდვრები, ზომით 1009 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. ფოლდოში.

წურეთელი, ბაგრატ მიხეილის ძე: მიედგრები და ტყე, ზომით 1020 დესეტინა 1920 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფ. ზემოხოდაშენს.

თარხან-მოურავი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე: სახნავი, სასახლეკარე, სათიბი, საძოვარი და სამოსტენე ადგილები და ბაღი, ზომით 233 დესეტინა 956 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელს კუმისში.

გაბაევი: იოსებ დავითის ძე: სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილები, ზომით 148 დესეტინა 1860 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ოქროყანაში.

შალიკოვი, იოსებ ივანეს ძე: სახნავი, სასახლეკარე ადგილები, ტყე და ბაღი, ზომით 270 დესეტინა ტფილისის გუბერნიაში, სილნაღის მაზრაში. სოფელს გურეკანში.

ყარაევი, ნიკოლოოზ ანდრიას ძე: სახნავი, საძოვარი, სასახლეკარე და სამაღე ადგილები და შენობები ზომით 142 დესეტ. 1310 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკს წაკეკინში.

მეჩითო